ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-0119148574**
თარიღი: **28/05/2019**
პინი: **6820**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2019 წლის 6 მაისის N 17-01191262997-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა N22/ ბელიაშვილის ქუჩა N68ა-ში (ს/კ N01. 13.02.010.090) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების საკითხს (AR1670048), გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტის ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. ზეგავლენის შეფასება შეიცავს ხარვეზებს. შესაბამისად სამსახური, ამ ეტაპზე, მოკლებულია პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას.

სამსახური პოზიციას დააფიქსირებს ხარვეზების გამოსწორების შემდეგ. ხარვეზები წარმოდგენილია დანართის სახით.

დანართი : 1 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

შენიშვნები (17-01191262997-16):

არ არის წარმოდგენილი:

- რუკების, სქემების და გაანგარიშებების სამუშაო მასალები.
- კვანძი N3-ის მიმართულება 3.2-ის გამტარუნარიანობის და დატვირთულობის ანგარიში.

გამოსასწორებელია:

- დოკუმენტის სათაური უნდა იყოს ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების კვლევა.
- გვ. 35 ლუბლიანას ქუჩის გამტარუნარიანობის და დატვირთულობის ცხრილთან არ არის მითითებული დილის პიკის საათის მონაცემები არის წარმოდგენილი თუ საღამოს. აღსანიშნავია, რომ კვლევაში ორივე უნდა იყოს წარმოდგენილი.
- გვ. 50. აღნიშნულია, რომ სავაჭრო-კომერციული ფართობის მგზავრობების მოდალური განაწილება დათვლილია მთელი დღის მგზავრობების მიხედვით, შემდეგ კი (გვ. 57-60) მითითებული აქვს დილის და საღამოს პიკის საათების მგზავრობები, გთხოვთ დააზუსტოთ.
- მოდალურ განაწილებებში მცირედი სხვაობებია, თუმცა არსებით განსხვავებას არ გვაძლევს.